

## შპს „დბ მოტორს“-ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

### ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს დბ მოტორს (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2016 წლის 25 ივლისს. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოში მოქმედი რეგულაციების მიხედვით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 405159670. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, მე-7 კვარტალი, მე-11 კორპუსი, ბინა #25. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო ნაწილების იმპორტი თურქეთიდან და მისი რეალიზაცია საქართველოში.. კომპანიის წილის მფლობელებია თურქეთის მოქალაქეები: აიდინ ბარუთჩუ (34%), ალი იურდაკულ (33%) და ჯოშკუნ დემირჯი (33%).

### მომზადების საფუძვლები

#### ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება.

### შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არის არის აღნიშნული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

### ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

### მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები, რომელთა

ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

## ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები: • საკრედიტო რისკი; • ლიკვიდურობის რისკი; • სავალუტო რისკი. კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი. ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები- კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები. 31.12.2024 წლის მონაცემებით სავაჭრო მოთხოვნებმა შეადგინა 254340 ლარი, ფულადმა სახსრებმა-18234 ლარი (რომელიც წარმოშობილია საქონლის მიწოდების შედეგად), ხოლო სავაჭრო ვალდებულებებმა-13310 ლარი.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები (საქონლის იმპორტი). უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფულად მუხლების დააკორექტირება ხდება მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

- საკრედიტო რისკი. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცემების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი სახელმწიფო ორგანოა თუ კერძო იურიდიული, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. სავაჭრო ვალდებულება წარმოადგენს 1 თვემდე დაფარვის ვადის მქონეს.

## ამონაგები და გაყიდვების თვითღირებულება

შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით. შპს დბ მოტორს-ის ამონაგები მიიღება ავტონაწილების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისაგან, რომელმაც 2024 წელს შეადგინა 5952519 ლარი, ხოლო მათი გაყიდვების თვითღირებულებამ 3401046 ლარი.

## საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯებმა სულ შეადგინა -508539 ლარი, მათ შორის საიჯარო ხარჯი - 98087 ლარი, ამორტიზაციის ხარჯი -11021 ლარი, ხელფასები -341977 ლარი, ტრანსპორტის ხარჯები -5494 ლარი, საპენსიო შენატანები დამქირავებლის მიერ გადახდილი -4437 ლარი, სატელეკომუნიკაციო ხჯები -3559 ლარი, ბანკის საკომისიო -27967 ლარი, საკანცელარიო ხარჯები -1171 ლარი, საღარიბო აპარატების მომსახურების -342 ლარი, დაზღვევის ხარჯები -5335 ლარი, დაცვის ხარჯები -1424 ლარი, იმპორტისა და ქონების გადასახადები -2376 ლარი, სხვადასხვა სამეურნეო ხარჯები -5349 ლარი.

## წმინდა ეფექტი უცხოური ვალუტის საკურსო სხვაობიდან.

2024 წელს ზარალმა საკურსო სხვაობიდან შეადგინა -17073 ლარი. აქვე აღსანიშნავია, რომ ტრანზაქციები და უცხოური ვალუტაში არსებული ოპერაციები ფუნქციურ ვალუტაში კონვერტირდება ტრანზაქციის ან შეფასების თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით, რომელიც წინასწარაა განსაზღვრული. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებების გადაანგარიშების შედეგად მიღებული შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი).

## მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი გამოწვეულია განაწილებული დივიდენდების გაცემიდან. 2024 წელს 1164700 ლარის განაწილებული დივიდენდებიდან გამომდინარე დასაბეგრმა მოგებამ შეადგინა 1370235 ლარი, შესაბამისად მოგების გადასახადის ხარჯმა (15%) 205535 ლარი, დივიდენდზე საშემოსავლო გადასახადმა (5%) -58235 ლარი, გაცემულმა დივიდენდებმა -1106465 ლარი.

**ძირითადი საშუალებები** თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ძირითადი საშუალების მთელი სასარგებლო მომსახურების პერიოდის განმავლობაში.


**დაბეგვრა.** საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ პირებზე გაცემულ დივიდენდზე. კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა. საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას. გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა დივიდენდის გამოცხადება. ამონაგები. კომპანია ამონაგებს იღებს იმპორტირებული ავტოსატარადარიგო ნაწილების რეალიზაციით. შესაბამისად შემოსავლის აღიარება ხდება საქონლის მიწოდებისას-გამოწერილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე დარიცხვის მეთოდით..

ხარჯების აღიარება ხდება გაწევისთანვე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. საქონლის მიწოდებისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად.

საქმიანობის შედეგებში ასახული -სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში (277 ლარ ი) არის გასული პერიოდის შეცდომის გასწორების გავლენა ,რომელიც დაკავშირებულია გაყიდვების თვითღირებულებასთან.

შპს „დბ მოტორს“-ის დირექტორი:



ა.ბარუთჩუ

## ფინანსური მდგომარეობა

### ფინანსური მდგომარეობა

|                                                             | 31/12/2024 | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|-------------------------------------------------------------|------------|------------|------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                       | 18234      | 95265      | 202472     |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                  | 254340     | 322569     | 234358     |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 124        | 124        | 124        |
| მარაგები                                                    | 3744032    | 2880632    | 2051478    |
| მზა პროდუქცია                                               | 0          | 0          | 0          |
| სხვა                                                        | 3744032    | 2880632    | 2051478    |
| საინვესტიციო ქონება                                         | 0          | 0          | 0          |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                  | 0          | 0          | 0          |
| ბიოლოგიური აქტივები                                         | 0          | 0          | 0          |
| თვითღირებულების მოდელით                                     | 0          | 0          | 0          |
| გადაფასების მოდელით                                         | 0          | 0          | 0          |
| გუდვილი                                                     | 0          | 0          | 0          |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                | 3310       | 4340       | 2572       |
| ძირითადი საშუალებები                                        | 42518      | 48820      | 48659      |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                           | 0          | 0          | 0          |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში         | 0          | 0          | 0          |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                  | 0          | 0          | 0          |
| სულ აქტივები                                                | 4062558    | 3351750    | 2539663    |
| <b>ვალდებულებები</b>                                        |            |            |            |
| საიჯარო ვალდებულება                                         | 0          | 0          | 0          |
| სავაჭრო ვალდებულებები                                       | 13310      | 10531      | 230740     |
| ანარიცხები                                                  | 0          | 0          | 0          |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                          | 0          | 0          | 0          |
| საგადასახადო ვალდებულებები                                  | 0          | 0          | 6270       |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                  | 0          | 0          | 0          |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                             | 60032      | 0          | 0          |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                             | 0          | 0          | 0          |
| მიღებული გრანტები                                           | 0          | 0          | 0          |
| სხვა ვალდებულებები                                          | 23823      | 31729      | 6217       |
| სულ ვალდებულებები                                           | 97165      | 42260      | 243227     |

### საკუთარი კაპიტალი

|                                                                                             |         |         |         |
|---------------------------------------------------------------------------------------------|---------|---------|---------|
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 0       | 0       | 0       |
| საემისიო შემოსავალი                                                                         | 0       | 0       | 0       |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                | 0       | 0       | 0       |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                   | 3965393 | 3309490 | 2296436 |
| გადაფასების რეზერვი                                                                         | 0       | 0       | 0       |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                        | 0       | 0       | 0       |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                       | 3965393 | 3309490 | 2296436 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                      | 4062558 | 3351750 | 2539663 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                   | 4016730 | 3298590 | 2488432 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                              | 97165   | 42260   | 243227  |
| კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები                                                   | 0       | 0       | 0       |

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

|                                          | 31/12/2024 | 31/12/2023 |
|------------------------------------------|------------|------------|
| ნეტო ამონაგები                           | 5952519    | 4844099    |
| საქონლის გაყიდვიდან                      | 5952519    | 4844099    |
| მომსახურების გაწევიდან                   | 0          | 0          |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან             | 0          | 0          |
| სხვა                                     | 0          | 0          |
| გაყიდვების თვითღირებულება                | -3401046   | -2792123   |
| საწყისი მარაგები                         | 0          | 0          |
| მარაგების შესყიდვა                       | 0          | 0          |
| გადამუშავების დანახარჯები                | 0          | 0          |
| საბოლოო მარაგები                         | 0          | 0          |
| საერთო მოგება                            | 2551473    | 2051976    |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი               | 0          | 0          |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 | -341977    | 0          |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი               | -11021     | -9645      |
| საპროცენტო შემოსავალი                    | 0          | 0          |
| საპროცენტო ხარჯი                         | 0          | 0          |
| იჯარის ხარჯი                             | -98087     | -88817     |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -57454     | -304939    |
| სულ საოპერაციო ხარჯები                   | -508539    | -403401    |
| საოპერაციო მოგება                        | 2042934    | 1648575    |

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

|                                                                                                |         |         |
|------------------------------------------------------------------------------------------------|---------|---------|
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                             | 0       | 0       |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                       | 0       | 0       |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                     | 0       | 0       |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 0       | 0       |
| მიღებული დივიდენდები                                                                           | 0       | 0       |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                                        | -17073  | 5235    |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან                       | 2025861 | 1653810 |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                      | -205535 | 0       |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                                                         | 1820326 | 1653810 |

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

|                                                                                                                                   |          |         |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------|---------|
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი                                                       | 0        | 0       |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) | 0        | 0       |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                                                                                            | 0        | 0       |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                                                               | 1820326  | 1653810 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                                                               | 3309490  | 2296436 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')               | 0        | 0       |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                                                                    | -1164700 | -545000 |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                                                                             | 277      | 420     |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                                                                         | 0        | -96176  |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                                                                    | 3965393  | 3309490 |

|                                  |   |   |
|----------------------------------|---|---|
| კვლევისა და განვითარების ხარჯები | 0 | 0 |
|----------------------------------|---|---|